ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№46
(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)

ქ. თბილისი; 25 ივნისი, 2019 წ. 13 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო ლაცაბიძე
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - **ნინო კვეტენაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - **სერგო ბირკაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - **გელა ჩივიაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **მერაბ მამულაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინპექციის იურიდიული განყოფილების უფროსი - **გიორგი კიკვიძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) დამიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუსტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადეგნილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე–135^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სასდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3

კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. “ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დაკით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.504) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. “ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N4-ში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.16.22.914) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქ. თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.04.017.132) საჯარო საართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. “ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. “აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქს“-ს (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ №-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქს“-ის (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. “ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: #01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის №19.364.505 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთ“-ს (ს/კ 405323699) შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი

ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ" ხელშეკრულების დადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. "ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

27. "ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N18 სა და რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: #01.11.09.001.053; #01.11.09.001.158; #01.11.09.001.132; #01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/ნ: 201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის N E-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. ,,ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N4-ში მდებარე 3494 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.010) სს ,,სარაჯიშვილისთვის" (ს/კ: N209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის N20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს ,,სარაჯიშვილი"-ს (ს/ნ: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.001.026) 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზემელისთვის" (ს/ნ: 402097271)

იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით უჯმაჯურიძის გარდაცვალების გამო მისი უფლებამოსილების შეწყვეტილად ცნობის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **N19-58** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონი სერგოს თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19-58 დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში. კერძოდ, დებულებას **ემატება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას თბილისის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხების მომწესრიგებელი IX თავი,** რომლის თანახმადაც, თბილისის მერია და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები, უფლებამოსილნი ხდებიან, ერთიანი საქმისწარმოების მიზნებისთვის მიიღონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები. აღნიშნული ცვლილების განხორციელება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ელექტრონული საქმისწარმოების პროცესში, მოქალაქეთათვის სრულყოფილი და მოქნილი მომსახურების მისაწოდებლად, ესაჭიროება პერსონალურ მონაცემებზე წვდომა.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19-58 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, შენიშვნები/ რეკომენდაციები არ გააჩნია.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ,** გაერეთიანებულ სხდომაზე, მერიის ურბანული განვითარების

საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, ამავე სამსახურის თანამშრომლი, გიორგი ებენოიძე წარადგინა.

ბატონმა სერგომ, გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, გიორგი ებენოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მიმართა და წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ბატონმა სერგომ ისაუბრა გიორგი ებენოიძის სამუშაო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ იგი გახლდათ მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე და კურირებდა მნიშვნელოვან მიმართულებას. სერგო ბირკაძემ ისაუბრა გიორგი ებანოიძის კომპეტენციაზე და აღნიშნა, რომ გიორგი ებენოიძე არის კადრი, რომელიც სათანადოდ უპასუხებს ურბანულ სფეროში არსებულ გამოწვევებს.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3-4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გელა ჩივიაშვილმა,** გაერეთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო:

- ✓ „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის **№6-25** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
- ✓ „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუსტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების,

აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№6-25** და **№20-81** დადგენილებებში. ცვლილებების მიხდევით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის" თანამშრომლებს** საშუალება ეძლევათ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) მგზავრობისას **ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით.**

აზრი გამოთქვა:

დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ ორივე დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში **უნდა ჩაემატოს** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით, **ბატონმა ლევანმა** ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველ მუხლი გამართულ **უნდა** იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის **N33-99** დადეგნილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის **N42-40** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც **მომხსენებლმა** აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N33-99** დადგენილებით დამტკიცებულია, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში

სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი და დადგენილია პარკირების საფასური. აღნიშნულ დადგენილებაში, შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები, რომლის მიხედვით, 2019 წლის პირველი აგვისტოდან შესაძლებელი იქნება განისაზღვროს, სატრანსპორტო საშუალებების ზონალური პარკირების ადგილები, სადაც პარკირების საფასურის გადახდა განხორციელდება შესაბამისი ზონისათვის დადგენილების საფასურის მიხედვით,

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ცვლილებები შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N42-40** დადგენილებაში, რომლის მიხედვით, ზონების აღმნიშვნელი საგზაო მონიშვნები ნაცვლად წითელი ფერისა, იქნება თეთრი ფერის, ასევე, მტკიცდება პარკირების და ზონალური პარკირების ადგილების აღმნიშვნელი საგზაო მონიშვნების ფორმები და ზომები და განისაზღვრება ზონალური პარკირების ადგილებზე, პარკირების საფასურის აღმნიშვნელი დამატებითი ინფორმაციის ნიშნების (დაფები) განთავსება, სადაც მითითებული იქნება ზონების საფასურები შემდეგი შინაარსით:

1.A ზონის შემთხვევაში - 1 საათის ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) ლარს;
2. B ზონის შემთხვევაში - 1 საათის ღირებულება შეადგენს 2 (ორი) ლარს;
3. C ზონის შემთხვევაში - 1 საათის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს;

დასასრულს, **ბატონმა აბულაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ხელს შეუწყობს, ზონალური პარკირების სისტემის სრულყოფილად ამოქმედებასა და საზოგადოების ინფორმირებას, ხოლო, წარმოდგენილი პროექტის ამოქმედება არ მოითხოვს დამატებითი სახსრების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6-7-8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი:

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე–135[4] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 25 ნოემბრის №15-30** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 16 იანვრის N10-14** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

- ✓ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 7 დეკემბრის №32-108** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კოდექსის 125 -ე მუხლს დაემატა მე-12-მე-14 ნაწილები. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №15-30 დადგენილებაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის** შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის **შესახებ** დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) **გასაჩივრებისას, საჩივრის** განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.

ბატონი აბულაძის თქმით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **125-ე მუხლის მე-12-მე-14** ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას შემდეგი სამართალდარღვევისთვის:

- ✓ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისთვის;

- ✓ ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობის, გაჩერების ან დგომისთვის;

- ✓ ასევე, წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების გზაზე გაჩერების ან დგომისთვის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის ან ნიშნების), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ნომრის გარეშე.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **125-ე მუხლის** მე-12-მე-14 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, დღის წესრიგში დადგა წარმოდგენილი ცვლილების ასახვა, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს N10-14 დადგენილებით დამტკიცებულ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულებაში.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№32-108** დადგენილებაში გასახორციელებელ ძირითად ცვლილებებზე. მისივე თქმით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესით დარეგულირებულ საკითხებს ემატება **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილით** გათვალისწინებული **ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.**

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის -**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აუცილებელი რეკვიზიტები,** ასევე, ახალი რედაქციით ყალიბდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა **ოქმების აღრიცხვის ჟურნალი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა და მის მახასიათებელი რეკვიზიტები.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის** მე-2 **პუნქტი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან დაკავშირებით, **ბატონმა ლევანმა** განმარტა, რომ განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გამართულ უნდა იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 საკითხთან დაკავშირებით, **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით. ბატონი ლევანის თქმით, დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლს არ აქვს პირველი პუნქტი და იმის გათვალისწინებით, რომ აყალიბებს მხოლოდ ერთ საკითხს, აღნიშნულ ნაწილში პუნქტის მითითების საჭიროება არ არის. შესაბამისად, ნაცვლად წარმოდგენილისა, სასურველია მიეთითოს, „პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა- ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **№19-70** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლმა წარმოდგენილ პროექტზე საუბრისას გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება და განმარტა, რომ ცვლილებების ასახვა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№19-70** დადგენილებაში, რომლის მიხედვით, მიწისზედა ელექტროტრანსპორტით (ტროლეიბუსი, ტრამვაი) **უბილეთო მგზავრობისას, მგზავრი დაჯარიმდება - 20 (ოცი) ლარის ოდენობით,** ნაცვლად, დღეის მდგომარეობით მოქმედი - **5 (ხუთი) ლარისა.** ამასთან, მგზავრი ავტობუსით მგზავრობისას ვალდებულია მგზავრობის დაწყებისთანავე შეიძინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალებით გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა, შეინახოს ბილეთი მგზავრობის დამთავრებამდე და თანამშრომელს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალება. **წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, საურავის ოდენობა განისაზღვრა დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით **(40 ლარით),** ნაცვლად დღეის მდგომარეობით მოქმედი **50 ლარისა.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, პრეამბულაში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** ასევე, წარმოდგენილი დადგენილების **პროექტის პირველი მუხლის** პირველ პუნქტში ნორმატიული აქტების სათაურები მიეთითოს სწორი რედაქციით.

ბატონი ლევანის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის: „<u>მუხლი 3</u>."-ის ნაცვლად უნდა მიეთითოს: „<u>**მუხლი 2.**</u>"

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის **№24-80** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლმა ისაუბრა პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებაზე, რომელიც ეხებოდა, ტაქსებისთვის **„A“ ან „B“** კატეგორიის ნებართვის მინიჭების პროცედურის გაიოლებას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№24-80** დადგენილებში, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ **ნებართვაში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებას გავლილი ექნება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ნებართვისთვის კატეგორიის მინიჭების პროცედურას** **განახორციელებს ნებართვის გამცემი,** რაც აქამდე თავად ნებართვის მფლობელის ვალდებულებას წარმოადგენდა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მერაბ მამულაშვილმა,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-48** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მერაბ მამულაშვილის თქმით, მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, ირაკლი აბაშიძის, ვასილ ბარნოვისა და დანიელ ჭონქაძის ქუჩების სატრანსპორტო მომსახურება განხორციელდება ავტობუსის (M3 კატეგორია) მარშრუტებით. მისივე თქმით, მითითებულ ქუჩებზე მგზავრთა მომსახურება მხოლოდ M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებით

ხდება. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საკრანსპორტო მომსახურებას M3 კატეგორიის ავტობუსებით ითხოვენ მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მაცხოვრებლებიც.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, დედაქალაქში შემოყვანილი 50 "MAN" - ის მარკის (10 მეტრიანი) ავტობუსებით გარკვეულ მარშრუტებზე მოხდა ჩანაცვლებები, რაც საშუალებას იძლევა გამონთავისუფლებული საშუალო ტევადობის „ბოგდანის" მარკის ავტობუსებით მომსახურება განხორციელდეს ზემოაღნიშნულ ქუჩებზე და დაწესდეს ორი მარშრუტი, კერძოდ:

- **N83** - მ/ს „დელისი" - ვაჟა ფშაველას გამზირი - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი (პეტრე ქავთარაძის ქ. #1-თან მოხვევით) - მიხეილ თამარაშვილის გამზირი - გიორგი წერეთლის ქ. - ილია ჭავჭავაძის გამზირი - არჩილ მიშველაძის ქ. - ირაკლი აბაშიძის ქ. - ვასილ ბარნოვის ქ. - იაკობ გოგებაშვილის ქ. - კოტე მაყაშვილის ქ. - პოლიკარპე კაკაბაძის ქ. - დანიელ ჭონქაძის ქ. - ამაღლების ქ. - ლადო ასათიანის II შესახვევი - ლადო ასათიანის ქ. - შალვა დადიანის ქ. - თავისუფლების მოედანი - ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - მტკვრის მარცხენა სანაპირო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. (#2-ის მიმდებარედ).
- **N89** - მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი) (ტრანსპორტის ქ. #1-ის მიმდებარედ) - აკაკი წერეთლის გამზირი - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - დავით აღმაშენებლის ხეივანი (მობრუნება გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის გადაკვეთამდე, რესტორანი „მონოპოლის" მიმდებარედ) - მარშალ გელოვანის გამზირი - დავით აღმაშენებლის ქ. - თეთრი დუქნის ქ. - პეტრე სარაჯიშვილის ქ. - ვასო გოძიაშვილის ქ. - მუხრან მაჭავარიანის ქ. - ივანე ბერიტაშვილის ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - ფერნანდ თავაძის ქ. - სერგო ზაქარიაძის ქ. - ვაჟა ფშაველას ჩიხი - ვაჟა ფშაველას გამზირი - ზურაბ ანჯაფარიძის ქ. (მ/ს "სახელმწიფო უნივერსიტეტის" მიმდებარედ).

აღნიშნულ მარშრუტებზე გათვალისწინებულია მაქსიმალური 6, მინიმალური 4 საკრანსპორტოსაშუალების მოძრაობა.

დასასრულს, ბატონმა მერაბმა განმარტა, რომ, შეიცვალა N14 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა და ნაცვლად 11-ისა ჩაიწერა 14.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ემუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიისცეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინპექციის იურიდიული განყოფილების უფროსმა - **გიორგი კიკვიძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის **N28-96** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28-96 დადგენილებაში, კერძოდ, ახალი რედაქციით ყალიბდება და ხორციელდება **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 152[5]-152[9] მუხლების** მითითება, **დადგენილების პრეამბულასა და პირველი მუხლში, ასევე დადგენილებით დამტკიცებული წესის სათაურსა და მე-3 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია იმით, რომ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" დაემატა ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები, რომლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

კერძოდ:

152[4] - მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ადგილებში, რომლებიც საკრებულოს მიერ საამისოდ არ არის განსაზღვრული;

152[5] - ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დაჭრა, დაფქვა, დახერხვა, დაქუცმაცება;

152[6] - მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება;

152[7] - ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა;

152[8] - ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას იმ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა;

152[9] - სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

ბატონი ლევანის განმარტებით, დადგენილების პროექტის **პირველი მუხლში,** უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28-96 დადგენილების **გამოქვეყნების თარიღი 26/09/2018, ნაცვლად მისი მიღების თარიღისა 25/09/2018.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის** საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **№21-86** დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№21-86** დადგენილება, რომლითაც დამტკიცებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხა.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ზემოაღნიშნული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება განპირობებულია იმ მიზეზით, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საექსპერტო ან/და აუდიტორულ კომპანიებს დაუსაბუთებლად/დისკრიმინაციულად არ შეეზღუდოთ საქმიანობა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება გამოიწვევს ცვლილებებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 და N19-78 დადგენილებაში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის **N16-33** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N16-33** დადგენილებით განსაზღვრულია ის ტერიტორია სადაც არ შეიძლება დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსება და განსაზღვრულია ის გამონაკლისი ობიექტები, რომელთა განთავსება შესაძლებელია განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. ასეთ ობიექტებს განეკუთვნება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებული **ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილური დანადგარები.**

ნინო კვეტენაძის თქმით, წარმოდგენილიცვლილების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N16-33** დადგენილებაში ხორციელდება ცვლილება და გარდა ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილური დანადგარებისა, გამონაკლისად განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე განთავსებული დროებითი შენობა-ნაგებობანი.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, **N16-33** დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ასევე არ გავრცელდება **შპს ,,საქართველოს ფოსტის" (ს/ნ 203836233) ჯიხურებზე.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.504)** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების მიზნით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითრების საქალაქო სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვა, დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი და 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი.** აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N4-ში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.16.22.914) საჯარო სამართლის

იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N4-ში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია, აღნიშნული მიწის ნაკვეთის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის **საკუთრებაში** გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი და 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი.** აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.**

თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **წევრებმა** ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: 01.11.04.017.132)** საჯარო საართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვ.მ მიწის ნაკვეთის, საჯარო საართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, **სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, **შემდგომში, მონასტრისა და ეკლესიის მშენებლობის მიზნით.**

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნევს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი** და ამავე კოდექსის **75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი.** აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** უაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ: N81.02.12.510)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, შპს „ლუკა დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. #26-ში მდებარე 127 კვ.მ. (ს/კ: N01.13.05.015.017) მიწის ნაკვეთის და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება.

ქალბატონი ნინოს თქმით, აღნიშნულმა კომპანიამ მიწის ნაკვეთი შეიძინა 2017 წელს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე 116 280 ლარად, სასტუმროს მშენებლობის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ **ქალაქ თბილისის ტერიტორიების** გამოყენებისა და განაშენიანების **რეგულირების საკითხთა საბჭომ** და **ზონალურმა საბჭომ** დადებითი **პოზიცია** გამოხატეს **ინდივიდუალური ქალაქმშენებლობითი პარამეტრების** დადგენასთან და **ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობასთან** **დაკავშირებით, კომპანიამ** ვერ მოიპოვა შესაბამისი ნებართვები მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზნით. ქალბატონი ნინოს განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დასკვნის მიხედვით, მიწის ნაკვეთის გაბარიტული ზომები ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და მასზე სასტუმროს განთავსების მიზნით განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა სამსახურმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 391 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: #01.13.05.015.009), რომელთანაც გაერთიანება უკეთესი მახასიათებლების მქონე უძრავი ქონების წარმოქმნის შესაძლებლობას იძლევა. ხოლო რაც შეეხება კომპანიის მიერ სანაცვლოდ მოთხოვნილ, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციისს მიხედვით, მისი განკარგვა შესაძლებლად იქნა მიჩნეული.

როგორც **ქალბატონმა ნინომ** აღნიშნა, მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზისეროვნული ბიუროს მიერ. შპს „ღუკა დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებული 127 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **134417 (ას ოცდათოთხმეტი ათას ოთხას ჩვიდმეტი)** ლარის ოდენობით, ხოლო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 26 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **111370 (ას თერთმეტი ათას სამას სამოცდაათი)** ლარის ოდენობით.

მომხსენებელის თქმით, კომპანია უარს აცხადებს მოითხოვოს გაცვლას დაქვემდებარებული მიწების ფასთა შორის სხვაობა, თუ მისი ნაკვეთის ღირებულება მეტი იქნება კომპანიისთვის სანაცვლოდ მისაღები ნაკვეთის ღირებულებაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის **(საკადასტრო კოდი: 01.16.05.013.021)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის გაცვლის ფორმით პრივატიზება **საპრივატიზებო საფასურის გარეშე,** ფიზიკური პირის ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, N13-ში მდებარე 3010 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ: N01.10.16.004.249)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

ნინო კვეტენაძის თქმით, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა განპირობებულია იმით, რომ ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13-ში მდებარე, ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, უძრავი ქონების მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე განხორციელდა საავტომობილო გზის მშენებლობა და შედეგად, მიწის ნაკვეთის ნაწილი - 1247 კვ.მ დაიკავა გზამ. გაყვანილმა გზამ ორ ნაწილად გაყო ერთიანი მიწის ნაკვეთი, რის გამოც არალიკვიდური გახადა დარჩენილი მიწის ნაკვეთებიც, რადგანაც ვენერა ალიშევა გეგმავდა მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ერთიან განაშენიანებას.

მომხსენებლის განმარტებით, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 31 მაისის N5003469119 წერილის თანახმად, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურის მიერ შეფასებულია როგორც N01.10.16.004.218 (რომლიდანაც მოხდა N01.10.16.004.242 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გამოყოფა) ასევე, N01.16.05.013.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებები, რომელთა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა შემდეგი: *(თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებისთვის ლარის გაცვლითი კურსი აღებულია დ. უზნაძის ქუჩა N43-ში არსებული ქონების შეფასების თარიღის გათვალისწინებით 20.05.2019. გაცვლითი კურსი 1$ = 2.7424).*

- ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე **N01.10.16.004.218** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, ფართით 11 000 კვმ საბაზრო ღირებულება 4 202 000,00 აშშ დოლარი (1 კვმ - 382 $) დასკვნის N008521518, გაცემის თარიღი 13.12.2018; 2019 წლის 20 მაისის გაცვლითი კურსის შესაბამისად 1 კვმ-ის საბაზრო ღირებულება - 1047,6 ლარი
- ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N43-ში მდებარე **N01.16.05.013.021** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, ფართით 2947 კვმ - საბაზრო ღირებულება 3 153 290 ლარი (1 კვმ-1070 ლარი, 390 აშშ დოლარი); დასკვნის N003421519; გაცემის თარიღი 20.05.2019.

ასევე მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები მთლიანობაში განკუთვნილია ჩასანაცვლებლად, და ამ ეტაპზე უნდა ჩანაცვლდეს მხოლოდ გარკვეული ნაწილი, **სამხარაულის მიერ აღარ მოხდა N01.10.16.004.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების დაყოფა და დაყოფილი ნაწილების შეფასება მათი მოცულობის, ფორმის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არამედ აღებულ იქნა 13.12.2018 წლის N008521518 დასკვნით დადგენილი 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება 382 აშშ დოლარის** ოდენობით (2019 წლის 20 მაისის გაცვლითი კურსის შესაბამისად - 1047,6 ლარი) და გადამრავლდა იმ მოცულობის ფართზე, რომელიც ჯამში უტოლდება N01.16.05.013.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებას 3 153 290 ლარს. **ამ პრინციპით გასამიჯნი მიწის ნაკვეთის ფართმა შეადგინა 3 010,0 კვ.მ, რომელიც შესაძლებელია გამოყოს N01.10.16.004.242 (ნაკვეთის წინა N01.10.16.004.218) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნებისმიერი განლაგებით და ფორმით.**

ნინო კვეტენაძის თქმით, დღეის მდგომარეობით, **საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, გაცვლას დაქვემდებარებული ზემოაღნიშნული 3010.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა N01.10.16.004.249** საკადასტრო კოდით *((ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.16.004.242);* (ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო)).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოადგინა:

- ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, N43-ში მდებარე 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ში სარდაფის ფართით - 56.24 კვ.მ; I სართული - 268.54 კც.მ, შენობა ნაგებობა N2-ში სარდაფი - 237.33 კვ.მ. I სართული - 265.84 კვ.მ. II სართული - 246.94 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N3-ში სარდაფი - 245.78 კვ.მ. I სართული - 270.76 კვ.მ. II სართული - 275.95 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N4, N5, N6, N7, N8-ში საერთო ფართით - 453.9 კვ.მ, N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ სარდაფი ფართით - 23.21 კვ.მ **(ს/კ: N01.16.05.013.021)** გაცვლის ფორმით პრივატიზება **საპრივატიზებო საფასურის გარეშე,** ფიზიკური პირის ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, N13-ში მდებარე 3010 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ: N01.10.16.004.249)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა შემდეგი:

- „ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) უარს ამბობს სხვაობაზე თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ღირებულებას;

- ბ) ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ხელი არ შეუშალოს სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსა (ს/კ:200280141) და შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურს" (ს/ნ: 202887787) საქმიანობის უწყვეტად განხორციელებაში. ასევე ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის ვადით შეზღუდული ექნება N 01.16.05.013.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების უფლება, გარდა საპროექტო/სანებართვო ღონისძიებების განხორციელებისა."

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან **ამოღებულ უნდა იქნეს,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების **(ს/კ: №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ირაკლი კიკაჩეიშვილის (პ/ნ: 01008010636) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და წყნეთში არსებული 1001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ; №01.20.01.012.030; №01.20.01.012.066) გაცვლას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში - წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში არსებულ 600 კვ.მ. ფართობების მიწის ნაკვეთებში, **საპრივატიზებო საფასურით - 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.**

როგორც **ქალბატონმა ნინომ** აღნიშნა, ირაკლი კიკაჩეიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მინიჭებული ჰქონდა **საცხოვრებელი ზონა (სზ-1).** დაინტერესებულ პირს ახალი გენგეგმის მინიჭებამდე სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში უკვე ჰქონდა წარდგენილი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო შეთანხმების საკითხები და ტერიტორიის გაუნაშენიანებლობის გამო, ელოდებოდა საკითხის განხილვას გრგ-ს დამტკიცების შემდგომ. მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმით, ირაკლი კიკაჩეიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა **„სატყეო ზონა“.** მიწის ნაკვეთებზე სატყეო ზონის მინიჭებით კი უკვე გამორიცხა მის მიერ დაგეგმილი სახით (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი) სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა.

ქალბატონმა ნინომ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების გასხვისება და სამშენებლო განვითარება, შესაძლებლად მიიჩნია მოქმედი ფუნქციური ზონის (საცხოვრებელი ზონა 1) შესაბამისად.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ირაკლი კიკაჩეიშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები საბაზრო ღირებულება, **2018 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით,** საორიენტაციოდ განისაზღვრა **104716 ლარისა და 104820** ლარის ოდენობით.ხოლო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო

ღირებულება, ექსპერტიზის დასკვნის და შემდგომში დამატებით წარმოდგენილი წერილის თანახმად, **2019 წლის 8 აპრილის** მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **125414** ლარისა და **128518 ლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, **მიზანშეწონილია,** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N21-85** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.** ასევე, განკარგულების **პროექტის პირველ პუნქტში** მითითებულ იქნეს **საპრივატიზებო საფასური,** აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11/ ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში **(საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.004)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში მდებარე **105.64 კვ.მ** ფართის მოქალაქე ლაშა შიუკაშვილისთვის **(პ/ნ 01011097518)** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად-1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების დასტურით დასტურდება, რომ ლაშა შიუკაშვილი **1990 წლიდან** ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქს"-ს (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქს"-ის (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ზემოაღნიშნულ კომპანიას ჰქონდა ვალდებულება, რეტერატების განთავსებისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დაცვით. მისივე თქმით, შპს „სითი ბოქსმა" ვერ მოახერხა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულფასოვნად და დროულად შესრულება, ვინაიდან გარკვეულ ადგილებზე შეუძლებელი იყო საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. ასევე, მოსახლეობის მხრიდან კატეგორიული წინააღმდეგობის შედეგად დადგა რეტერატების ადგილმონაცვლეობის საკითხიც. კერძოდ, იცვლება 1 (ერთი) ლოკაცია და ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N41-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად განისაზღვრება ქ. თბილისში, ქუჩა ლესელიძე, N13-ის მიმდებარედ 1292 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

დასასრულს **ქალბატონმა კვეტენაძემ** ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - „ქონების მართვის სააგენტოსა" და შპს „სითი ბოქს"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული 100 (ასი) ლარის ოდენობის პირგასამტეხლოსგან **შპს „სითი ბოქს"-ის გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემას.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟოჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩის მითითებისას, მოხდეს ქუჩის ამჟამინდელი დასახელების მითითებაც და მიეთითოს შემდეგნაირად: **ქუჩა ლესელიძე (ამჟამად კოტე აფხაზის ქუჩა).**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის **(საკადასტრო კოდი: #01.16.06.006.008.01.506)** პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს **ა(ა)იპ „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის"**, ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე არსებული **338.74 კვ.მ** ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, **უსასყიდლო უზუფრუქტის** ფორმით გადაცემას.

ნინო კვეტენაძის თქმით, აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორმა **მარინე ტარასაშვილმა** მოითხოვა, (N:01.14.14.005.163) საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ-**100.96 კვ.მ.** ფართზე იჯარის უფლების შეწყვეტა დაქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, მე-2 სართულზე არსებული **338.74 კვ.მ** ფართის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა **2 წლის ვადით.** ქალბატონი ნინოს თქმით, **„ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლი"**ემსახურება მცირეწლოვან ბავშვებს და მათ მშობლებს, ასევე - აუტისტური სპექტრის, აშლილობის დიაგნოზისა და მენტალური შეზღუდვის მქონე პირებს. ორგანიზაციის მთავარი პრინციპია მისი მომსახურეობის ხელმისაწვდომობა, მომსახურების ფასი შედარებით დაბალია, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში, უფასო, რის გამოც მიღებული შემოსავლები საკმაოდ მწირია და იჯარის გადასახადი ორგანიზაციითვის მძიმე ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს მითითება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **122[1] მუხლის მე-9 პუნქტეზე.** ასევე, ამოღებულ უნდა იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N19-78** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი.**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.** ასევე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

ბატონი ლევანის თქმით, ასევე მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტად განისაზღვროს უსასყიდლო უზურფრუქტის მოქმედების ვადა და განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- **„2. უსასყიდლო უზურფრუქტის მოქმედების პერიოდი განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით ."**

შესაბამისად, ამავე განკარგულების მე-2 პუნქტი განისაზღვროს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: **№01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520)** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის №19.364.505 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძის თქმით, დავით სოკოლოვს (პ/ნ: 01018002131), მისი მშენებლობადაუმთავრებელი ბინის სანაცვლოდ (ს/კ: 01.14.14.003.143.01.040,) **სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცა ორი საცხოვრებელი ფართი: მამია გურიელის ქ. №5ა-ს მე-4 სართულზე მდებარე 70.3 კვ.მ. ფართობის ბინა და ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა, კორპუსი X-ის მე-4 სართულზე მდებარე 51.3 კვ.მ. ფართობის ბინა.

ქალბატონი ნინოს თქმით, გადასაცემად შერჩეული ორი საცხოვრებელი ფართი შეფასდა **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.** ექსპერტიზის დასკვნით, გადასაცემად შერჩეული ერთი ბინის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **139 900 (ას ოცდაცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით, ხოლო** გადასაცემად შერჩეული მეორე ბინის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **102 100 (ას ორი ათას ასი) ლარის ოდენობით.** რაც შეეხება ქ. თბილისში, ყივშიძის ქ. #5-ში მდებარე, მშენებლობადაუმთავრებელ ბინას, 2019 წლის 7 მარტის ექსპერტიზის დასკვნით, იგი შეფასდა ვაკის რაიონის გამგეობის 2014 წლის 13 აგვისტოს #6 ბრძანების საფუძველზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის შიდა აზომვითი ნასახის მონაცემებით მისი მშენებლობა დასრულებულ შენობაში განთავსების მდგომარეობით და მისი საბაზრო ღირებულება **თეთრი კარკასის მდგომარეობით განისაზღვრა 244 366 (ორას ორმოცდაოთხი ათას სამას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით,** ხოლო **მწვანე კარკასის მდგომარეობით - 260 592 (ორას სამოცი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.**

ნინო კვეტენაძის თქმით, მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დავით სოკოლოვის თხოვნის დაკმაყოფილება, მისთვის განკუთვნილი ბინის საბაზრო ღირებულების გადამოწმებასთან და განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **#19.364.505** განკარგულებაში ცვლილების განხორციელება, რომლის მიხედვით, სააგენტო დამატებით უზრუნველყოფს **ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე უძრავი ქონების** დამოუკიდებელ

აუდიტორულ შეფასებას, ხოლო, თუ განახლებული შეფასების მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება განსხვავებული იქნება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებისგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან შესაძლოა განხილულ იქნეს სხვაობის კომპენსაციის საკითხი, ფულადი ან დამატებით უძრავი ქონების გადაცემის საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან **ამოღებულ უნდა იქნეს:** საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი, 118[1] მუხლის პირველი პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთ“-ს (ს/კ 405323699) შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით **უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ**” ხელშეკრულების დადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30205 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.19.20.020.025) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით **სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად გადაეცემა შპს „ვარკეთილი** დეველოფმენთ“-ს, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე **ინტერესთა გამოხატვაში.**

ქალბატონი ნინოს თქმით, ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყო შენობა-ნაგებობების მშენებლობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე, ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის

ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემა. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს ზემოთ აღნიშნული ქონება გადაეცემა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პირობადებულ საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად. ინტერესთა გამოხატვა წარიმართება 5 (ხუთ) ლოტად, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირი ვალდებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სასარგებლოდ ერთჯერადად წარედგინა **უპირობო და გამოუხმობი წინა სამშენებლო საბანკო გარანტია - 100 000 ლარის ოდენობით.**

როგორც **ქალბატონმა კვეტენაძემ** აღნიშნა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30 205 კვ. მ. მიწის ნაკვეთის შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ"-ისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით **პრივატიზების საკითხისა** და ამავე კომპანიასთან გასაფორმებელი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ" **იმპლემენტაციის ხელშეკრულების** პროექტის პირობების შეთანხმებას.

დასასრულს **მომხსენებელმა** დასძინა, რომ წარმოდგენილი იმპლემენტაციის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია, **იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებიდან** არაუმეტეს **36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში** მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს შენობა-ნაგებობიდან 7545 კვადრატული მეტრის ჯამური ფართის უფლებრივად უნაკლო საცხოვრებელი ბინები ე. წ. თეთრი კარკასის მდგომარეობით. ასევე, დეტალურად არის განსაზღვრული, საპრივატიზებო საფასური და მისი გადახდის წესი; სამშენებლო ფაზა; წინასამშენებლო საბანკო გარანტია; სამშენებლო საბანკო გარანტია; შენობა-ნაგებობების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის პირობები; კომპანიის მიერ ფართების განკარგვის პირობები და ა.შ.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნეს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი": **მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი,** ხოლო, მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის: **პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი** და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი.**

ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, "ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის №419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ნინო კვეტენაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.561.755 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, აღნიშნული განკარგულების დანართი 1-ით განსაზღვრული, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის **სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად** გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, სასურველია შეიცვალოს განკარგულების პროექტის დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პრეამბულა, კერძოდ **ტერმინი „სამართალმემკვიდრის"** ნაცვლად, სასურველია გამოყენებული იქნეს **ტერმინი „მემკვიდრე"**.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N1ბ-სა და რეხის ქუჩა N6-ში **(საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N1ბ-სა და რეხის ქუჩა N6-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **N19.624.804** განკარგულებით გათვალისწინებულ პირთაითვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად)** საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, დიდუბე ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს **2004 წლის 15 ივლისის #2/3498** გადაწყვეტილებისა და უზენაესი სასამართლოს **2006 წლის 19 ივნისის #ას-1219-1463-05** განჩინების საფუძველზე, დაკმაყოფილდა **იოსებ ჯინჭარაძის, თამაზ ბერიძის, ტარიელ ბეგოიძის, ავთანდილ ავალიანის, ვახტანგ მაჭარაშვილის, ბადრი მაჭარაშვილის, ვასილ ლომსაძის, თენგიზ ჩალაძის, თამაზ დავითულიანის** მოთხოვნა და აღიარებულ იქნენ აღნიშნული მისამართზე მდებარე „ობილმეტრომშენის" ბალანსზე რიცხული სპორტკომპლექსის შენობაში მათ მიერ დაკავებული ფართების კეთილსინდისიერ მფლობელებად.

ასევე მომხსენებლის თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის პოლიციის III განყოფილების 2019 წლის 27 მაისის **MIA 5 19 01356906** წერილის და მასზე თანდართული ოქმის თანახმად, დასტურდება რომ **მოქალაქე ამირან სამარგულიანი, ოჯახთან ერთად, აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1994 წლიდან დღემდე.**

ნინო კვეტენაძის თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები, ოჯახებთან ერთად, 1994 წლიდან დღემდე, ნამდვილად ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N23ა-ში **(საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **მოქალაქე ნინო კიკვიძის (პ/ნ: 01011071205) და დავით თათოშვილისთვის (პ/ნ: 01024019101)** ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N23ა-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ** ფასად 1 (ერთ) **ლარად,** საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ მოქალაქე ნინო კიკვიძე სფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა **66.69 კვ.მ** საცხოვრებელი ფართი, ხოლო დავით თათოშვილს - **62.23 კვ.მ** საცხოვრებელი ფართი.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ისნის რაიონის გამგეობის თანამშრომლის შემოწმების ოქმების მიხედვით დასტურდება რომ აღნიშნული მოქალაქეების მითითებულ მისამართზე 2008 წლიდან ცხოვრებენ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. **იურიდიული** და საინვესტიციო **პროექტების** სამსახურის **უფროსმა - ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **უძრავი ქონების (ს/კ: #01.11.09.001.053; #01.11.09.001.158; #01.11.09.001.132; #01.11.09.001.178)** არასამეწარმეო (არაკომერციული) **იურიდიულიპირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“** (ს/ნ: 201990079) **პირდაპირი** განკარგვის ფორმით **პრივატიზების** საკითხის **შეთანხმების** შესახებ“ ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **განკარგულების** პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არასამეწარმეო (არაკომერციული) **იურიდიული** პირის - „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონი, სოფლის შემოგარენში არსებული 7204 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ქალაქ თბილისში, რადიოქარხნის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული 824 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ქალაქ თბილისში, გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 4836 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, გლდანის შემოგარენში არსებული 1309 კვ.მ მიწის ნაკვეთის, **სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით **პრივატიზებით** საკუთრებაში გადაცემას, **საფეხბურთო მოედნის მოწყობის მიზნით.**

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“ **იღებს ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული** და **ერთი მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობის** და მათი **მუდმივი ფუნქციონირების, განათების გასახდელის** და **ტრიბუნის მოწყობის** ვალდებულებას, **არაუგვიანეს 2020 წლის ბოლომდე.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების **პროექტის** სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის N E-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2011 წლის 7 ნოემბერს გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა მოქალაქე როზა რეხვიაშვილი და აღნიშნულ პირს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაეცა 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.13.04004021), საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარის გადახდის პირობით. თუმცა, მოქალაქე როზა რეხვიაშვილმა დაარღვია საიჯარო პირობები, 2014 წლის 10 იანვარს შეწყდა იჯარის უფლება და შეწყვეტის დღისათვის საიჯარო ქირის დავალიანება შეადგენდა - 8754,52 (რვა ათას შვიდას ორმოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარს, ხოლო, პირგასამტეხლო - 2246,40 (ორი ათას ორასორმოცდაექვსი ლარი და 40 თეთრი) ლარს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიასა და მოქალაქე როზა რეხვიაშვილს შორის დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

ქალბატონი ნინოს თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის გათავისუფლების საკითხს, იმ პირობით, რომ სასამართლოში საქმეზე მხარეებს შორის მორიგებით შეწყდება საქმისწარმოება და როზა რეხვიაშვილი უზრუნველყოფს სარგებლობის წლიური საფასურის დავალიანების 2 (ორი) წლის განმავლობაში გადახდას. ასევე, შეასრულებს მორიგების აქტის პროექტით გათვალისწინებული სხვა პირობებს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.648.859 განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაურში, სწორი რედაქციით მიეთითოს **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სახელწოდება**, ასევე, გარდა, დაკისრებული პირგასამტეხლოსა, მოხსენიებულ იქნას **„დასაკისრებელი"** პირგასამტეხლოც, მიახლოებით ვადასთან ერთად, აგრეთვე, მიეთითოს აღნიშნული საკითხის საკრებულოსთან შეთანხმების საკითხიც, ამდენად, სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ბატონი ლევანის განმარტებით, ასევე, მიზანშეწონილია, განკარულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის N19.648.859 განკარგულების სათაური და მიღების ნომერი, ასევე, დაზუსტდეს პირგასამტეხლოს მითითების ნაწილით, აგრეთვე, მოხსენიებულ იქნას, ქ. თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით მოწონებული მორიგების აქტი. **ამრიგად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N4-ში მდებარე 3494 კვ.მ მიწის ნაკვეთის (**საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.010**) სს ,,სარაჯიშვილისთვის" (ს/კ: N209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის N20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს ,,სარაჯიშვილი"-ს (ს/ნ: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2013 წელს, ქ.თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N4-ში მდებარე **3494 კვ.მ** მიწის ნაკვეთი (**ს/კ: N01.11.04.026.010**), სს „სარაჯიშვილს" გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **20964 (ოცი ათას ცხრაას სამოცდაოთხი) ლარის სანაცვლოდ.** თუმცა, სს „სარაჯიშვილმა"დაარღვია საიჯარო პირობები და ვერ გადაიხადა საიჯარო ქირა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2018 წლის 17 აპრილს შეწყდა იჯარის უფლება.** იჯარის საგანზე იჯარის უფლების შეწყვეტის მდგომარეობით სს „სარაჯიშვილს" ეკისრება, როგორც საიჯარო ქირის დავალიანება - **24 927.06 (ოცდაოთხი ათას ცხრაას ოცდაშვიდი ლარი და ექვსი თეთრი) ლარი,** ასევე პირგასამტეხლოს დავალიანება, რომელიც შეწყვეტის მდგომარეობით შეადგენდა - **5305.91 (ხუთი ათას სამას ხუთი ლარი და ოთხმოცდათერთმეტი თეთრი) ლარს**

და რომლის ოდენობაც **ყოველდღიურად იზრდება** საიჯარო ქირის დავალიანების სრულად გადახდამდე. **აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო** საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს საქმის განხილვა.

ქალბატონი ნინოს თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან სს ,,სარაჯიშვილი"-ს გათავისუფლების საკითხს, იმ პირობით, რომ სასამართლოში საქმეზე მხარეებს შორის მორიგებით შეწყდება საქმისწარმოება და აღნიშნული კომპანია გადაიხდის საიჯარო ქირის დავალიანებას მორიგების აქტით განსაზღვრულ ვადაში. ასევე, შეასრულებს მორიგების აქტით განსაზღვრულ სხვა პირობებს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, საიჯარი პირობების 12.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში მიეთითოს შემდეგი სახით:

- ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/**დასაკისრებელი** პირგასამტეხლო

აგრეთვე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს N19.649.858 განკარგულების სათაური, ასევე მოხსენიებულ იქნეს თბილისის აღნიშნული განკარგულებით მოწონებული მორიგების აქტი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან **(საკადასტრო კოდი: №01.15.04.001.026)** 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზემელისთვის" (ს/წ: 402097271) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ზემელისთვის" ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **2025 წლის 1 იანვრამდე.**

- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **6200 (ექვსიათას ორასი) ლარი.**

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №37-ში მდებარე ფართებს 2025 წლის 1 იანვრამდე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, დავით უჯმაჯურიძის გარდაცვალების გამო, მისი უფლებამოსილების შეწყვეტილად ცნობის საკითხი.

გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული საკითხი მიიღეს ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	ნინო ჯალაღანია